

რეფერატის შესრულების სტანდარტები

რეფერატს ჰყავს განსაზღვრული მსმენელი, საუნივერსიტეტო სწავლების შემთხვევაში, ეს არის სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც გარკვეულ ცოდნას ფლობენ რეფერატის თემასთან დაკავშირებით და აქვთ რეფერატის მოსმენის გზით ცოდნის გაღრმავება და გაფართოების მოლოდინი.

საუნივერსიტეტო სივრცეში რეფერატის შექმნას არაერთი მიზანი აქვს:

- რეფერატის მომზადება მოითხოვს გარკვეულ სამეცნიერო თემაზე ინტენსიურ მუშაობას;
- თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას, კონკრეტულ შემთხვევაში რელევანტური სამეცნიერო ტექსტების არჩევა-დალაგებას;
- სხვადასხვა წყაროების ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათ კრიტიკულ განხილვას.

აქედან გამომდინარე რეფერატი ემსახურება სტუდენტის კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის ამაღლებას. გარდა ამისა, რეფერატის მიზანია სტუდენტმა ისწავლოს ზეპირი ფორმით აზრის თავისუფლად ჩამოყალიბება, ლოგიკური და დამაჯერებელი მსჯელობა წინასწარ დაწერილი თეზისების მიხედვით, სრულყოფილი ტექსტის გარეშე.

რეფერატი ძირითადად მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- თეორიული ნაწილი,
- პრაქტიკული ნაწილი,
- დისკუსია.

ხშირია აგრეთვე დავალებები, რომლებსაც რეფერენტი ამზადებს მსმენელისათვის.

რეფერატს ერთის მხრივ აქვს „სავარჯიშოს“ დანიშნულება და ემსახურება სტუდენტის კვალიფიკაციის ამაღლებას, დისციპლინისათვის დამახასიათებელი დარგობრივი ცოდნის ათვისებას, ამა თუ იმ კვლევის მეთოდების გაცნობა – გამოყენებას, მეორეს მხრივ რეფერატის მომზადების დროს სტუდენტი იძენს ისეთ უნარებს, რომლებიც საჭიროა არა მარტო უნივერსიტეტში წარმატებული სწავლისათვის და დამამთავრებელი ნაშრომების შესაქმნელად, არამედ აუცილებელია ზოგადად მეცნიერული კვლევის საწარმოებლად და აგრეთვე შემდგომი პროფესიული წარმატებების მისაღწევად. აქედან გამომდინარე სტუდენტური რეფერატი საუნივერსიტეტო სივრცეში მნიშვნელოვან ტექსტის სახეობას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ნებისმიერი საგნის ლექტორმა, ვიდრე დავალებას მისცემს სტუდენტს, აუცილებლად უნდა ასწავლოს მას რეფერატის შესრულებისა და პრეზენტაციის წესები, რათა რეფერატის, როგორც სასწავლო მასალის შეფასების ერთ – ერთი ფორმის გამოყენებამ, შეასრულოს თავისი მიზნობრივი დანიშნულება.

1. ნაშრომი აკინძული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. თავფურცელი
2. სარჩევი
3. შესავალი
4. ტექსტის ძირითადი ნაწილი
5. დასკვნა
6. ბიბლიოგრაფია.

2. მოთხოვნები რეფერატის თავფურცელის შედგენისათვის

- > უნივერსიტეტის დასახელების ფონტი (AcadMtav), Bold.
- > უნივერსიტეტის დასახელების ფონტის ზომა (14).
- > აპლიკანტის სახელისა და გვარის ფონტი (AcadMtavr).
- > აპლიკანტის სახელისა და გვარის ფონტის ზომა (18).

- > რეფერატის სათაურის ფონტი (AcadMtavr), Bold.
- > რეფერატის სათაურის ფონტის ზომა (18).
- > სხვა ინფორმაციის ფონტი (sylfaen).
- > სხვა ინფორმაციის ფონტის ზომა (12).
- > სტრიქონებს შორის მანძილი (1,5).

3. სტანდარტები ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის
სტანდარტები ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

4. ავტორის სახელი და გვარი,
5. სათაური
6. გამოცემის ადგილი:
7. გამომცემელი,
8. წელი
9. გვერდი

10. ნიმუში

1. გეგეჰკორი, არნოლდ კავასია - ბუნების საგანძური. (თბილისი: მერიდიანი, 2007).
2. Ball, Philip Bright Earth: Art and the Invention of Color (New York: Farrar, Straus and Giroux, 2001), 140.

დამოწმება ტექსტში

(გვარი წელი, გვერდი)

(Ball 2004, 6-18)

(გეგეჰკორი 2007, 27)

თუ ვიმოწმებთ წიგნს, რომელსაც ჰყავს ორი ან სამი ავტორი

- პირველი ავტორის გვარი, სახელი,
- მეორე ავტორის სახელი, გვარი და მესამე ავტორის სახელი გვარი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი.

ნიმუში:

1. კეკელიძე, კორნელი და ალექსანდრე ბარამიძე. ძველი ქართულილიტერატურის ისტორია: V-XVIII სს. (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987).

2. Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. Telling the truth about history. (New York: W.W. Norton & Company, 1994).

დამოწმება ტექსტში:

(გვარი და გვარი წელი, გვერდი)

(კეკელიძე და ბარამიძე 1987, 45);

(Appleby, Hunt and Jacob 2005, 27)

სამეცნიერო ჟურნალების სტატია

დამოწმება ბიბლიოგრაფიაში:

- ავტორის გვარი, სახელი.
- ჟურნალის გამოსვლის წელი.
- სტატიის სათაური.
- ჟურნალის სახელწოდება,
- № ნომერი:
- გვერდები.

ნიმუში

1. ბუთხუზი, ნათია. 2016. ლოგისტიკური პროცესების აუტოსორსინგი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #7:71-74

2. Beattie, J.M. 1974. The pattern of crime in England, 1660-1800. Past and Present, no. 62:47-95.

დამოწმება ტექსტში:

(გვარი წელი, გვერდი)

(ბუთხუზი 2016, 71)

(Beattie 1974, 90)

ინტერნეტში განთავსებული მასალა

ბიბლიოგრაფიაში:

- გვარი, სახელი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამოცემელი. URL მისამართი
- (წვდომის თარიღი)

ნიმუში:

ჯორჯაძე არჩილ 2010. წერილები. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა,

<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/gamomcemloba1/cignebi/archil-djordjadze-werilebi.page>
(1.05.2016)

Samora, Julian and Patricia Vandell Simon. A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000.

<http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ტექსტში:

(გვარი წელი)

(Samora and Simon 2000).

(ჯორჯაძე 2010)

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- მთავრობის (ქვეყნის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ერთეულის) და ხელისუფლების ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელწოდება, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;
- დოკუმენტის ან კრებულის სათაური, თუ ასეთი არსებობს (როგორც წესი, დახრილი შრიფტით);
- ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;
- ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;
- მონაცემები პუბლიკაციის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის სახელწოდება (აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული აქ განხილული ყველა პუბლიკაციისთვის გამოიყენეთ აღნიშვნები Washington, DC, და Government Printing Office), გამოქვეყნების თარიღი;
- გვერდის ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა მონაცემები, თუ საჭიროა

ნიმუში

ბიბლიოგრაფიაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე* №136/04 . თბილისი 2017 წლის 26 სექტემბერი

Food Security Act of 1985, HR 2100, 99th Cong., 1st sess., Congressional Record 131, no. 132, daily ed. (October 8, 1985): H 8353-8486.

ტექსტში,

1. (*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე 2017, 14*)
2. (Food Security Act of 1985, Record 131, no. 132)

11. **რეფერატი უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტში დადგენილ ზოგად ფორმალურ მოთხოვნებს:**

რეფერატის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის,

ტექსტის შრიფტი - sylfaen, ზომა 12,

სათაურების და ქვესათაურების ზომა – 14-16,

სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 (გვერდის ველები ყველა მხრიდან 2 სმ).

აზრაცები ერთმანეთისაგან გამოიყოფა თითო სტრიქონის გამოტოვებით, ამასთან, ყველა სტრიქონის დაშორება მარცხენა ველიდან თანაბარი უნდა იყოს.

12. ნაშრომის სტრუქტურაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი კომპონენტები:

- > თავფურცელი - ნაშრომის პირველი გვერდი.
- > შესავალი - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს დამუშავებული თემის აქტუალობის დასაბუთება, დასმული ამოცანა (ამოცანები);
- > გამოყენებული მეთოდები;
- > ტექსტის ძირითადი ნაწილი - შეიძლება დაიწყოს თავებად და პარაგრაფად;
- > დასკვნა - უნდა ასახავდეს ნაშრომის შედეგებს;
- > ბიბლიოგრაფია - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე.